სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება №01-09-10/178

ქ. თბილისი 10 09 2018 წ.

სტუ-ის №01-09-10/156 (17.08.2018) ბრძანებების ნაწილობრივი ცვლილების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისსაფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

I.შეტანილი იქნეს ცვლილება სტუ-ს 2018 წლის 17 აგვისტოს №01-09-10/156 ბრძანებაში და მეშვიდე პუნქტიჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. სწავლების დეპარტამენტმა 2018-2019 სასწავლო წლისთვის სტუ-ის სამაგისტრო პროგრამებზე ჩასარიცხად მოამზადოს რექტორის ერთიანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ბრძანება) არა უგვიანეს ამა წლის 4 ოქტომბრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის №227 ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს მისი წარდგენა სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრსა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში."

II. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს ლევან კლიმიაშვილს.

III. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

რექტორი ა. ფრანგიშვილი